ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2498813

ნომერი: AR1386935

თარიღი : 16.03.2016

გაცემის თარიღი : 23.03.2016

გაცნობის თარიღი : 23.03.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თამარაშვილი , N 13 , (ნაკვეთი N4/51) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- უჩა ზაქაშვილი პ/ნ 01002016160
- თბილისი გლდანის ხევი კორ. 5 ბ. 58

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1386935 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ითხოვთ #1185 09.08.2011წ. რეგისტრაციით გაცემული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ასლს, ასევე ინფორმაციას ქ. თბილისში, თამარაშვილის ქუჩა #13-ში (ნაკვეთი #4/51) მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.10.16.004.051) მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებით და კოეფიციენტის გაზრდასთან

დაკავშირებით წარმოების დაწყების შემთხვევაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2016 წლის 17 თებერვლის #2437729 ბრძანებით ქ. თბილისში, ქუჩა თამარაშვილი, #13, (ნაკვეთი #4/51), შპს "იკონია კაპიტალი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.10.16.004.051) შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

ზემოაღნიშნულ მისამართზე 2009 წლიდან დღემდე პერიოდში ფუნქციური ზონის ცვლილება და ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა არ მომხდარა.

ქ. თბილისში, თამარაშვილის ქუჩა #13-ში (თქვენს მიერ რუკაზე მონიშნულ ტერიტორიაზე) სამსახურში ამ ეტაპზე ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და წარმოების დაწყებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

ამასთან გაცნობებთ, რომ აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის (#01.10.16.004.051) მითითების შემთხვევაში.

მოთხოვნის საფუძველზე გიგზავნით 2011 წლის 09 აგვისტოს #1185 რეგისტრაციით გაცემული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ასლს.

ამასთან გაცნობებთ, რომ საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ კანონის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად - სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე უნდა შეიტანოთ ასლის გადაღების მოსაკრებელი - 0 ლარის და 95 თეთრის ოდენობით. აღნიშნული დოკუმენტაცია შეგიძლიათ გაიტანოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის პირველი სართულიდან, შეტყობინების მიღებიდან მეორე სამუშაო დღეს, გატანის დროს საჭიროა წარმოადგინოთ აღნიშნული თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

დანართი: 1 ალბომი.

გადასახდელი თანხის რეკვიზიტებია:

1. მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში
2. მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
3. ბანკის კოდი: TRESGE22
4. ანგარიშის ნომერი: 200122900
5. სახაზინო კოდი: 300773173
6. გადახდის დანიშნულება: საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი. (#AR1386935 16.03.2016წ.)